



# מִנּוֹרָה

გამოცდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ეგრაჟი გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מִנּוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი  
(ქისლები)  
№16-17 (375)  
(5773)  
2012

”מִבְּרוּתָה“  
עִיתּוֹן יְהוּדִי  
בָּגְרוּגִיה



## საქართველოში პრეველ სახანუქე ჟანტელს პრემიერ-მინისტრი ბერინა ივანიშვილი ანთეჭს

ახა, მოვიდა სინათლისა და გამარჯვების დღესასწაული-- სანუქა. რვა დღის, უფრო ზუსტად, რვა საღამოს განმავლობაში სახანუქე სანთლების შუქი გაანათებს უოველი ებრაული ოჯახის ფანჯრებს.

სანუქის შემობრძანების წინა დღეს თბილისში ჩამოვიდა საქართველოს ებრაულთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენლობითი დელეგაცია კონგრესის პრეზიდენტის გაბრიელ მირილაშვილის ხელმძღვანელობით.

7 დეკემბერს კონგრესის დელეგაცია მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. გულთბილმა მიღებამ, საქმიანნა საუბარმა, მეორე დღეს საქართველოს ებრაულთა პრეზიდენტს გ. მირილაშვილს ათქმევინა: „დღეს ბიძინა ივანიშვილი ზოგ ებრაულზე უფრო მეტად ებრაულია“

კონგრესის დელეგაცია შესვერდა სელისუფლების წარმომადგენლებს, რვა ნოემბერს კი თბილისის ბეით ქნებეთში ისტუმრა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. ჯამაათი მოუთმენლად მოქლოდა ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს და საღამოს დოკუმენტს, „ერბითი“ -- დამთავრებისას ისიც მობრძანდა, სწორედ ბიძინა ივანიშვილმა აანთო სანუქის პირველი სანთელი და მიმართა ბეით ქნებეთში შეკრებილ ჯამაათს.

### პრემიერ-მინისტრი ბერინა ივანიშვილი:

— ებრაელ ერს, ისრაელს ვულოცავთ ხანუქობას. ამ დღესასწაულს ვულოცავთ სრულიად საქართველოსაც. ჩვენ 26-საუკუნოვანი უნიყონია მეგობრობა და კულტურა გაგვაჩნია ჩვენი თანაცხოვრების 26 საუკუნის განმავლობაში ამ ორ ერს შორის ელემენტარული გაუგებრობაც არ ყოფილა. ჩემი ერთ-ერთი ოცნება გახლავთ: ისე მოვახერხოთ, უახლოეს წლებში ისე განვავითაროთ საქართველო, რომ არანაკლები ებრაელი ცხოვრობდეს საქართველოში, ვიდრე ცხოვრობდა 40 წლის წინათ. იმ წლებში

მიხეილ სააპაშვილი ეპრაელ  
ხალხს ხანუქის დღესასწაულს  
ულოცავს

საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააპაშვილი ებრაელ ხალხს ხანუქის დღესასწაულს ულოცავს. ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს. „მთელ ებრაელ ხალხს და საქართველოს ებრაელებს სულითა და გულით გილოცავთ ხანუქის ბრწყინვალე დღესასწაულს.

მინდა გისურვოთ ამ მტკიცე რწმენით იღვანოთ ჩვენი საერთო სამშობლოს კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. ამ რწმენით ცხოვრობდნენ და დღესაც იღვნიან ქართველი ებრაელები, რომელთა წვლილი საქართველოში კულტურის განვითარების საქმეში და სახელმწიფოს აღმშენებლობაში, განსაკუთრებულია.

მშვიდობას, კეთილდღეობას და ნარმატებებს გისურვებთ თქვენ და თქვენ ოჯახებს“, - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

მე ძველ თბილისში და საჩხერეში ძალიან ბევრ ეპრაელს ვხედავდა.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ხანუქის დღესასწაულს და გისურვებთ დასრულებულიყოს ყოველგვარი გაუგებრობა, რაც დღეს ისრაელში არსებობს. ის-რაელს დაებრუნებინოს ისტორიული ტერიტორიები და აელორძინებინოს საკუთარი ისტორიული სამშობლო.

### საქართველოს ეპრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირილაშვილი:

— ესაა სიყვარულის, სინათლის, სიცოცხლის აყვავების დღე და ამიერიდან, ღმერთმა ინებოს, რომ აყვავდეს საქართველოც, ისრაელიც და მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრობა. დღეს ბატონი ბიძინა არის უფრო მეტი ეპრაელი, ვიდრე ზოგი ეპრაელი და ძალიან მიხარია, რომ გვილოცავს გულით.

### ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუძის:

— დღეს აქ მოსვლისთვის და დღესასწაულის ერთად აღნიშვნისთვის მადლობას ვუხდი პრემიერ-მინისტრს. ხანუქა ეპრაელი ხალხისთვის საოჯახო დღე-სასწაულია, რომელიც თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობასთან ასოცირდება. თქვენი აქ მოსვლით, ბატონი ბიძინა კიდევ ერთხელ განამტკიცეთ ქა-რთველი და ეპრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა.

\* \* \*

იმავე საღამოს ხანუქის პირველი სანთელი აინთო სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაშიც“. დღესასწაული გამართა ისრაელის ბიზნეს-პალატამ საქართველოში. აქ პირველი სიტყვა თქვა ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა **ივიდა მოშავა**. მან შეკრძილოთ აუწყა, რომ მომავალ წელს ისრაელელი ბიზნესმენების ინვესტიციებმა შესაძლოა, ნახევარ მილიარდ დოლარს გადააჭარბოს. სანთლის ანთების წინ სიტყვა წარმოსთქვა ისრაელის ბიზნესისა და კერძო მენარმეების ასოციაციის პრეზიდენტმა ეპუნდ რასაბიმ. 9 დეკემბერს ისრაელელ ბიზნესმენთა დელეგაცია მიიღო საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრმა **ვ. კვირიკაშვილი**.

## მრავალ ხანუქას დასწრებოდეთ, მეგობრებო!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი – ბიძინა ივანიშვილი  
ეპრაელებში მეგობრულ წევი გრძნობლა თავს**



10 დეკემბერს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ხანუქის დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს დიმიტრი ტატიშვილს მიჰყავდა. საღამო საქართველოს მთავარი რაბინის, ქართველ ეპრაელთა მსოფლიო რაბინთა ასოციაციის, „ხაბადის“, ისრაელის საელჩოს, „სოხნუთის“, „ჯოინთის“, „ეპრაული სახლის“ და „თიფერეთ ცვის“ ერთობით გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გამირი ბიძინა ივანიშვილი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **გაია ფანიაშვილი**, ქედეთის წევრი ნინო აბესაძე, რაბინთა დელეგაცია ისრაელიდან და ქართველ ეპრაელთა ცნობილი წარმომადგენლები. რაბინებმა პრემიერ-მინისტრს საჩუქრად მეზუზა გადასცეს. საღამო გახსნა მსოფლიოში

აღიარებულმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა. მან რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა, როგორც ეპრაული, ასევე ქართული თემატიკიდან. მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ მომდევნობა ისრაელიდან და ეპრაული სკოლა „ორავნერის“ გოგონათა გუნდი.

**დიმირი ტატიშვილი:** დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველას მობრძანებისთვის. ეპრაელ რაბინთა მსოფლიო ასოციაციამ რაბინ ხასაძე მოშე მიხელაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავარმა რაბინმა აბიშა ბათაშვილმა და „ხაბადის“ წარმომადგენლობამ საქართველოში მოგიწვიათ, რათა საქართველოში ერთად ვიზიტობ „ხანუქის“ ბრძყინვალე დღესასწაული. ხანუქის დღესასწაულის ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი წმინდა მენორას ანთება.

ეს ამბავი მრავალი წლის წინათ მოხდა, ისრაელელი ხალხი თავის მიწაზე ცხოვრობდა, მთელი გულით სწამდა ღმერთი და ასრულებდა ყველა საჭირო წესს. ბეთ ჰამიკდაშში ქოენი ყოველ საღამოს ანთებდა წმინდა მენორას, მენორაში დანთებული სანთლები სინათლეს ფენდნენ მთელ ქვეყანას. შემდეგ ბერძნებმა ისრაელთა ქვეყანა დაიპყრეს, მათ ვერ შეძლეს იმ ფაქტის ატანა, რომ ეპრაულები სხვა ხალხებს არ ჰგავდნენ, მათ თავიანთი რჩმენა და თავიანთი წეს-ჩვეულებები ჰქონდათ, ბერძნებმა ეპრაელებს უბრძანეს თავისი რწმენა მიეტოვებინათ, შეეწყვიტათ ორის შესწავლა და მისი შიცვების შესრულება. შევიდნენ ბეთ ჰამიკდაშში და წაბილნეს ის წმინდა ზეთი, რითიც მენორას ანთებდნენ, აღარც მენორა ჰქონდათ, არც — ზეთი. იხილეს ეს მათათავაცუმ და

მისმა ვაჟიშვილებმა და ბერძნების წინააღმდეგ აჯანყება გამოაცხადეს. ძალები უთანაბრო იყო, მაგრამ ღმერთის დახმარებით, შეძლეს ბერძნების დამარცხება და ისრაელის მინიდან განდევნა. როდესაც ბერთ პამიდაში მენორის დასანთებად შევიდნენ ნახეს, რომ ზეთი წაბილზული იყო და მისით მენორის ანთება არ შეიძლებოდა, და აი, მოხდა სასწაული, უცებ ნაპოვნი იქნა პატარა ზეთიანი ქილა, მაგრამ მასში მოთავსებული ზეთი მხოლოდ ერთი დღის სამყოფი იყო, თუმცა, ეს ზეთი რვა დღის განმავლობაში ენთო. იქიდან მოყოლებული დღემდე ჩვენ „ხანუქის“ დღესასწაულს რვა დღეს ვზეომობთ. ყოველ წელს სანთლებს რვა დღის განმავლობაში ვანთებთ და ვიხსენებთ არაჩვეულებრივ სასწაულებს. დღეს ხანუქის მესამე დღეა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი სანთელი უნდა ავანთოთ.

**ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი მსოფლიოში ხახამ მოშე მისამართილი:**

— მოგესალმებით ყველას, დღეს ბედნიერი დღეა, ხანუქის დღეს, მინდა ქება მოვახსენო ყოველის გამჩენს, რომელიც გვიცავდა ყოველთვის, რომელმაც გვიქმნა სასწაულები, გაგვიძლიერა ერი. ბერძნები სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელმა ებრაელებმა დაამარცხეს, რომლებმაც იარაღ ხელში პარველად დაიჭირეს, აქ ღმერთმა თავისი სასწაულებრივი ძალა გამოავლინა. ბერძნებს ისეთი იარაღი ჰქონდათ, რომ მათზე გამარჯვება ნარმოუდგენელი იყო, თუმცა ღმერთმა სასწაული მოახდინა. ებრაელი ხალხი ყოველდღე მოახსენებს ღმერთს ქებას. ისრაელი ახლაც ჰყავს მტერი, მაგრამ ჩვენი ერი გამჩენის ძალით ყოველთვის გამარჯვებული იყო და მომავალშიც ასე იქნება. ამიტომ ახალგაზრდები გაზარდოთ თორაზე. შაბათს საღამოს ვახშამი ყოველი ებრაელის ოჯახში მშვიდობაზე სიმღერით იწყება. მინდა დავლოც პრემიერ-მინისტრი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს. ჩვენ ვლოცულობი ყველა ერის ბედნიერებისთვის და გამარჯვებისთვის. უკვე ამდენი წელია ჩვენი მამა-პაპა საქართველოში ცხოვრობს. გაგიმარჯოთ პრემიერ-მინისტრი, გამჩენმა მოგცეს ძალა. გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ღმერთის ხელშია, სულ გამარჯვებული იყავით. გამარჯვება საქართველოს, გამარჯვება ისრაელს. გამჩენმა წლები გაგიგრძელოთ და მრავალ ხანუქას დაგასწროთ.

სცენაზე იწვევენ ისრაელიდან ჩამოსულ რაბინებს: **იცხაპ მოძღვრიშვილი, იაყოშ გაგლაზვილი, აპრაშ აჯიაზვილი, გენ ციონ მის-ელაზვილი, შაგთამიმისებაზვილი, ავისელეს როზენბლატის, ხახამ მოშე მისებაზვილი, ასევე ისრაელის ელჩის იუვალ ფუქსა და „ხაბად-ის“ ორგანიზაციის დირექტორს მეირ კოზლოვს-კის.**

#### აპიშა პათაზვილი:

— ბატონები და ქალბატონები, ხანუქა სამეახ! საქართველოს ქართველი ებრაელთა სახელით მინდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი წმინდა სანთლის ასანთებად მივიწვიო.

**ბატონი პრემიერ-მინისტრი პიძინა ივანიშვილი ანთებს ხანუქის სანთელს.**

რაბი იაკობ გაგულაშვილი: მოგესალმებით ყველას, საქართველოს ებრაელობას ვულოცავ ამ ზემს, ამ დიდ დღეს. დავრნმუნდით და ვხედავთ რომ ერი, რომელიც ძლიერია სულიერად, მას ვერაფერი დაამარცხებს. ისრაელის ერს დაბადების დღიდან გვდევნიან, ზოგჯერ მონად გვაქცევდნენ, ზოგჯერ ცეცხლში ამოგვნვავდნენ, წყალში ვავლუ-პავლენენ, მაგრამ ვერც ცეცხლის აღმა ვერ ჩააქრო ჩვენი სარწმუნოება, ვერც იყენის წყალმა ვერ ჩავგიძორა, იმიტომ რომ ჩვენ ვართ ისრაელი. აი, დღეს მსოფლიოში ძლიერდება სხვადასხვა ძალა დასურთ ისევ შეეხონისრაელის ერს, მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ ამას ვერ შეძლებენ, გამიგეთ ხალხო, ძმებო, მეგობრებო, ებრაელებო, ქართველო და ამოსულო ებრაელებო, ბატონი პრემიერ-მინისტრო, მინისტრო, რაბებო, არ არსებობს ერი მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია ისეთი მონაცემი, როგორითაც ღმერთმა ჩვენ დაგვაჯილდოვა, მანახეთ ერი მსოფლიოში, რომელსაც სახელში მისი წამომწყები დედების და მამამთავრების სახელები აქვს გარეული. ეს ნამდვილი სასწაულია. მშვენიერი სახელი — ისრაელი ჩვენი დედების და მამების სახელებისგან შედგება. ჩვენ გვყავდა სამი მამამთავარი: აბრაამი, იცხაკ და იაკობი და ოთხი დედა — სარა, რივეკა, რახელი და ლეა. ასოებში ჩასმულია ყველა დედა და მამა, ავილოთ — „ი“ იცხაკ და იაკობი, „ს“ — ეს არის სარა, „რ“ — არის რივეკა და რახელი, „ა“ ეს არის აბრაამი და „ლ“ ეს არის ლეა. არსებობს სხვა ასეთი ერი მსოფლიოში? ჩვენი მამები და დედები არიან ჩვენი მფარველები და ისინი ლოცულობენ ღმერთის წინაშე ჩვენს გამარჯვებაზე, სადაც ისრაელი ფეხს დააბიჯებს ის მინა დალოცვილია. მინდა ბატონ პრემიერ-მინისტრს მივმართო, დაუკვირდით ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ 26 საუკუნეზე, ჩვენ აქ ვიყავით და ვართ, არსად არ ნავსულვართ. ჩვენ აქ შევქმნით ისტორია, ჩვენ აქ დავიბადეთ, დავიწყეთ სიარული, აქ ავიდგით ენა. ქართველი ებრაელები თუ სადმე ვხვდებით ერთმანეთს ჭირში და ლხინში ყველგან ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ. ჩვენ არ დაგვიკარგავს ის ენა, ქართული ენა, რომელზეც ჩვენი წინაპრები საუბრობდენ და ლოცულობდნენ. საქართველოდან ისრაელში რომ წავედი 4 წლის ბავშვი ვიყავი, დღეს კი დავაუკაცებული ვპრუნდები, დაუკურუნდი მამულს. საქართველოში არის ყველა წესით ქაშერი ხორცი, რომელიც რაბინებისთვის და ხახმებისთვისაც მისალება. ჩვენ საქართველოში გამოვუშვით რაბი აბიშა ბათაშვილი, რომელიც ქართულ და სალოცავები და სად ლოცულობდნენ, დავიწყებას ნუ მივცემთ მათ საფლავებს, შევაკეთოთ სალოცავები, სადაც ჩვენი წინაპრები ლოცულობდნენ კულაშსა თუ ბათუმში. მეგობრებო, ჯამაათო, ხანუქის დღები ბევრ რამეს გვასწავლის, ცხოვრები მოდის ოცნებით ფარაშებით არის ოცნება. იოსების ისტორია სიზმრით დაიწყო, როდე-

საც მინისტრებმა არ იცოდნენ რაში იყო საქმე, მათ იოსებმა სიზმრით აუხსნა, სიზმრით იყო, ეგვიპტის მეფე რომ დაამხო. ყველამ იცის მისი ისტორია, მან სიზმარს მისცა ძალა, შემდეგ პირველ კაცად შეიქმნა მსოფლიოში და აქიდან იწყება ჩვენი ისტორია. ყველა ერში შეგვიძლია ვიპოვოთ სამი კატეგორია, არის ხალხი, საქართველოსაც ჰყავს გულთბილი ხალხი, ნელთბილი და არის ხალხი, არიან პატრიოტები. ჩვენშიც ებრაელობაშიც არიან ხალხი, საქართველოს წყავს გულთბილი ხალხი, პატრიოტები, მინდა დავლოც პრემიერი ვუსურვო სიკეთე, ბედნიერება. შენ ხალხის არჩეული არ ხარ, შენ ღმერთის არჩეული ხარ, ვერცერთ თანამდებობაზე კაცი ვერ დადგება, თუ ღმერთიმა გზა არ დაულოცა, შენ ღმერთმა დაგლოცა და ხალხს ჩაუნერგა, რომ შენსკენ ნამოსულიყო. მე კიდევ დავლოცავ საქართველოს ებრაულ ჯამაათს მსოფლიოში. აქ მცხოვრებ ჯამაათს. ღმერთის წყალობით, ჩვენ ისტორიულად გამარჯვებულები ვართ. სამყარო შეიქმნა 7 დღეში, მაგრამ ისრაელი უფრო მაღლა დგას, ებრაელთა ისტორიული ყველა დიდი ციფრი რვაზე მთავრდება. ებრაელთა, ჩვენი მამამთავრების დაბადება ძველთაღრიცხვით 1948 წელს იყო, იცხაკის დაბადება ჩვ.წ.. აღ-ით 2008 წელს, იაკობის — 2068 წელს, ჩვენი ერის ჩასვლა ეგვიპტეში — 2238, ჩვენი ერის გამოსვლა ეგვიპტიდან ჩვ.წ. აღ-ით 2448 წელი, თორის მიღება — 2428, მოშეს გარდაცვალება 2488 წელი, პირველი ტაძრის აშენება — 2938 წელი, გაუქმება — 3338 წელი, მეორე ტაძრის აშენება 3408, პირველ თაღმული დაინიშნება ჩვ.წ.. აღ-ით 4128 წელს, გერმანიამ რომ გაგვანადგურა 6 მილიონი ებრაელი — 5698 წელი, ჩვენი სახელმწიფო ერეც ისრაელის, ჩვენი თავისულების დაბრუნება და მამა-პაპათა მინაზე დაბრუნება — 5708 წელი. გაუმარჯოს ისრაელს, გაუმარჯოს საქართველოს. ისარეთ და იძენიერეთ.

#### საქართველოს პრემიერ-მინისტრი პიძინა ივანიშვილი:

— მივულოცავ ებრაელ ხალხს ხანუქის და დედას იცხაპ მოძღვრიშვილი, იაყოშ გაგლაზვილი ცხოვრობს. გაგიმარჯოთ პრემიერ-მინისტრი, გამჩენმა მოგცეს ძალა. გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ღმერთის ხელშია, სულ გამარჯვებული იყავით. გამარჯვება საქართველოს, გამარჯვება ისრაელს. გამჩენმა წლები გაგიგრძელოთ და მრავალ ხანუქას დაგასწროთ. სცენაზე იწვევენ ისრაელიდან ჩამოსულ რაბინებს: **იცხაპ მოძღვრიშვილი, იაყოშ გაგლაზვილი, აპრაშ აჯიაზვილი, გენ ციონ მის-ელაზვილი, შაგთამიმისებაზვილი, ავისელეს როზენბლატის, ხახამ მოშე მისებაზვილი, ასევე ისრაელის ელჩის იუვალ ფუქსა და ტომ კოზლოვს-კის.**

**იცხაპ მოძღვრიშვილი:** ერთი არა ებრაელი



მინისტრი — არტ ევანი. არაებრაელმა მინისტრმა  
გამოუგზავნა რაბ ამადოვს საჩქერად ბრილიან-  
ტები, ოქროულობა და სხვა ძვირფასი ნივთები.  
რაბ ამადოვს ვალში იგრძნო თავი და გაუგზავნა  
არტ ევანს საჩქერად მეზუზა. ყველამ ვიცით, რა  
არის მეზუზა, მასში წერია ისეთი ფასუქი, რომ-  
ელი ფასუქითაც იძადება ისრაელი, რომელი ფა-  
სუქითაც იღვიძებს ისრაელი, რომლითაც ლოცუ-  
ლობს და იძინებს ისრაელი. შემნახავია ისრაელის  
ოჯახების, ისრაელის გზების, ვისაც დიდი ღმერთი  
სწამს ღმერთი იმას ინახავს. არტ ევანმა გამოუგ-  
ზავნა წერილი — მე ბრილიანტებით, ოქროულო-  
ბით გაგავსე, შენ კი რაღაც ტყავს მიგზავნი... ეს  
რა არისო. უპასუხა რაბიმ — ჩემო საყვარელო არტ  
ევან, შენ ისეთი რამე გამომიგზავნე, ყარაულები  
უნდა ავიყვანო, რომ შევინახო, მე ისეთ რამეს გიგ-  
ზავნი რაც შენ შეგინახავს, ის შენ დაგიცავს. არტ  
ევანმა დიდი მადლობა გადაუხადა რაბის. შე მინდა  
ჩვენს საყვარელ პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშ-  
ვილს ჩვენი რაბების სახელით საჩქარი გადავცე  
მეზუზა, ამ მეზუზამ შეგინახოს. როგორც ხანუქის  
სანთლები ყოველდღიურად იმატებს, ისე მოგე-  
მატოთ ყოველივე სიკეთე, კარგი, სიკეთე თქვენი  
შვილებისთვის, გისურვებთ წინსვლას, გახარებას,  
ღმერთმა დაგიცავა!

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუძესი:

— ბატონობ პრემიერ-მინისტრო, პატივცემულო  
რაბინებო, პატივცემულო სტუმრებო, ჩემთვის  
დიდი პატივია ხანუქის დღესასწაული თქვენთან  
ერთად ვიზეიმო. ხანუქა ოჯახური დღესასწაუ-  
ლია, ჩვენ დღეს ერთი დიდი ოჯახი ვართ. ხანუქა  
დამოუკიდებლობის დღესასწაულია და ჩვენ  
დღეს დიპლომატიური ურთიერთობების მეოცე  
წლისთავს ვზიემობთ. ხანუქა თავისუფლების  
დღესასწაულია და ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში,  
სადაც ებრაელი ერი მუდამ სიყვარულით სარგე-  
ბლობდა. ხანუქა სუვერენიტეტის დღესასწაულია  
და 2013 წელს ისრაელის სახელმწიფო დამოუკიდე-  
ბლობის 65-ე წლისთავს ზიემობს. ებრაელები  
ყოველთვის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნე-  
ბაზე ოცნებობდნენ, სწორედ ეს არის სიონიზმის  
არსი. ქართველი ებრაელები ამ ისტორიულ პრო-  
ცესში ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდნენ,  
ეს გამოწვეული იყო არა ანტიისემიტიზმის, ანდა  
საქართველოსადმი სიყვარულისადმი ნაკლებო-  
ბით, არამედ უძველესი ოცნებისკენ — სიონისა

## სანეპის დღესასწაული ეროვნულ ბიბლიოთეკაში

12 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ებრაელობამ, საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლობამ მოიყარათავი. აյგამართა ხანუქისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, „სოხნუთი“ და ევრ-აზიის ეპრაული კონგრესი.

გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ძველი ებრაული წიგნები და ხელნაწერები: ესთერის გრავნილი (ხელნაწერი), თორა (ძველი აღთქ- მა) და სხვა.

ღონისძიებაზე ასევე ხაომოდგენილი განლდათ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული უნიკალური მასალები: სეფერ თორის თაჯი — გვირგვინი, თორა, ვერცხლის ამულეტი — ამოტვიფრული ებრაული წარწერით და სხვა.

სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს უნიკალური ექსპონატები, რომელიც პირველად, ერთი დღით, გამოიფინა ხანუქის დღის საპატივცემოდ.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა  
ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, პო-  
ეტმა **გიორგი კაპელიძემ**.  
ხანუქის სანთლების კურთხევა წარმოსთქ-

ვა ისრაელის კონსულმა საქართველოში  
**ცელ გაიმოხა.**

და იერუსალიმისკენ სწრაფვით. ჩვენს ოჯახში ხანუქა განსაკუთრებული დღესასაწაულია, ჩემი ბებია-ბაბუა აღმოსავლეთი ევროპიდან ისრაელში 1934 წელს ჩავიდნენ, ერთი წლის შემდეგ კი მამაჩემი შეეძინათ, პირმშო, რომელიც ხანუქის დღესასაწაულზე დაიბადა. ბავშვს მაკაბელების ნინამძღოლის ებრაელების დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მეორე საუკუნეში მებრძოლი მაკაბელების უფროსი ვაჟის პატივსაცემად იქცუდა დაარქევს. ყველას ბედნიერ ხანუქას გისურვებთ. ის, რაც საქართველოსა და ისრაელს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ეს არის მშვიდობა. ღმერთი დაამყარებს მშვიდობას საქართველოსა და ისრაელის თავზე.

## რაპი პრესამ ავტორი:

## საცეკვის ზემომ კუთარებები

ოდითგანვე ქუთაისი  
გამორჩეული ქართული ქა-  
ლაქია, ოდითგანვე ქუთაისი  
ქართველ ებრაელთა ცენ-  
ტრად ითვლებოდა. ამიტომ,  
ისრაელში ასულ ქართველ  
ებრაელთა მაღლიერება ამ-  
ძალაში ხშირად მოთავს

ქუთაისში ხანუქის, ანუ  
რწმენის გადარჩენის დღე-  
სასანაული ყოველწლიუ-  
რად საზეიმოდ აღინიშნება  
ქართველ მეგობრებთან  
ერთად. ამ იდეის ავტორი  
კი ქუთაისის ეპრაელთა  
საქველმოქმედო ფონდის  
„ხესედ აბული — 97“-ის

დირექტორი ბატონი გიგა  
ხოტოველი გახლავთ თანამ  
რომელიც რესტორან „პაგრ  
რთული და ებრაული ინტელ  
მასმედია.

საზეიძო საღამო შივყავად  
მა ვერამ სანთლების ასანთ  
იღიოლებიზვილი, აღექანდ  
სიტყვებით გამოვიდნენ

ବ୍ୟାପକ ବାଧକାରୀଙ୍କ, ବୋଲିଙ୍ଗେ  
ନରାତ୍ମକର୍ମ ନରାତ୍ମକର୍ମ ଉପର  
ତ୍ରିଵିଦୀସଫେରୀ, ସିଯୁଗାର୍ଥୁଳୀ. ମାତ୍ର  
ଲୋ ବାଲକ୍ଷେପିଳ କ୍ଷେତ୍ରରେ XXVI ସାହୁକୁଣ୍ଡରେ  
ସାଲାମିର କିଛିଏ ଉପରେ ଦାବା  
ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଲମ୍ବା ଦା ଜୀବନରୂପମା ବିଶେଷ  
ଦାସାଶର୍ମୀଙ୍କ ଗ୍ରିଗା ବୋଲିଙ୍ଗେ ମାତ୍ର

კველა გავაშუქოთ. მე გამეხარდა როდესაც პრე-  
მიერმა სინგონგაში სანთელი აანთო. ეს სანთელი  
არის გამაშუქებელი, გამანათებელი ბეჭინიერი  
მომავლის. ჩვენი პრემიერი ხალხმა აირჩია ხალხის  
რჩეული კი ღმერთის რჩეულია, მე მინდა ვუსურვო  
მას ამ სანთელით გაანათოს სიბნელე, გაიმარჯ-  
ვოს, გააძლიეროს ქართველი ერი და გაუმართ-  
ლოს იმედები, რომელსაც მისგან ყოველი ოჯახი  
ელის. არა მარტო დღეს, არამედ მთელი წელიწა-  
დის განმავლობაში, გაშუქებული განათებულები  
ყოფილიყო ყვავებით.

ბოლოს წამყვანმა მადლობა გადაუხადა საბა-  
მოს ორგანიზატორებს ქართველ ებრაელთა  
მსოფლიო ასოციაციას ხახამ მოშე მიხელაშვილის  
ასმეთაურობით, „ხაბადის“ წარმომადგენლობას,  
ისრაელის საელჩოს, „სოხნუთის“ ხელმძღვანე-  
ლის პირ მფირს, „ჯონინთს“ ხელმძღვანელს ზო-  
პარ დავიდს, ებრაულ სახლს, სკოლა „თიფერეთ  
კების“ რაბი არიელ ლევინის ხელმძღვანელობით.

გარდა მისასალმებელი გამოსვლებისა, საღ-  
ამოზე იყო საკონცერტო ნაწილი, რომელიც, რო-  
გორც უკვე აღვნიშნეთ, თემურ ყვითელაშვილმა  
გახსნა და რომელსაც მაყურებელი ოვაციით შეხ-  
ვდა. ამის გარდა, მღეროდნენ მამა-შვილი გური-  
ელაშვილები, ბუჭუნა მოშიაშვილი, ასევე ისრაელ-  
იდან გახლდნენ ჩამოსული აღმოსავლეთ ევროპის  
ებრაელობის სიმღერების შემსრულებელი დუეტი  
„ცემედ დრეიმ“ აშენაზი მომღერლები, რომლებ-  
მაც ნამდვილი შემოქმედებითი ცეცხლი დაანთეს  
სცენაზე. მათ აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობის  
მთელი მუსიკალური საუნჯე გააცნეს მაყურე-  
ბელს, აიყოლიეს კიიდეც იგი. სადღესასწაულო  
სიმღერები იმდენად გადამდები გახლდათ, რომ  
მაყურებელთა დარბაზში ხალხი აცეკვდა, ისრაელ-  
იდან ჩამოსულმა რაბინებმა არა მხოლოდ თავად  
იცეკვეს, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილიც კი თავის წრეში  
მოაციიეს. ბ-ნი პრემიერ-მინისტრი ებრაელთა შო-  
რის მეგობრულ წრეში გრძნობდა თავს.

ეს კი საღამოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ებრაულ დღესასწაულზე ერთად იყვნენ ქართველი და ებრაელი, ისე როგორც საუკუნეების განმავლობაში.

სადლესასწულო საღამოს დამდგმელი გახლ-  
დათ კ. მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი დიმ-  
იტრი ხვთისძაშვილი.



„ხესედ აბული — 97"-ის დირექტორი ბატონი გიგა ხეოფთველი გახლავთ თანამოაზრებთან ერთად. მან რეალობად აქცია ამ წლის ხანუქობის დღესასწაული, რომელიც რესტორან „პავრატში“ აღინიშნა. დღესასწაულზე მოწვეული იყო ქალაქის ხელმძღვანელობა, ქართული და ებრაული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები, მასმედია.

საზეიძო საღამო ძირითადად ებრაელ ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს პერა ილინიხ-ფიჩერაშის. ქალბატონმა ვერამ სანთლების ასანთებად რიგ-რიგობით მოიწვია ბატონები დანეილ დავითიაზვილი, აპთანდილ ინიონლეივზვილი, ალექსანდრე (ალეკო) ზეგელია, მოსა ბალუაზვილი და გიგა ხოთოველი.

კლეიტონ გამგრავება, ვიოლეტა გუზიავალი, მამუკა იოსელიანი, თამაზე მიღიგური.

ორატორს ორატორი ცვლიდა, მაგრამ ყოველ გამოსვლაში იგრძნობოდა გულწრფელობა, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული. მათი ენამზებით კიდევ ერთი ახალი ფურცელი ემატებოდა ქართველი და ებრაელი ხათხების XXVI საუკუნის მინიჭრობის თეატრში; თურთულება;

ლი ხალხების XXVI საუკუნოვანი მეცნიერების ულამაზეს ფურცლებს.  
საღამო კიდევ უფრო დაამშვენა მხატვრული ანსამბლის „შორაშიმის“ („ფესვები“) მიერ შესრულებულმა ეპრაულმა და ქართულმა სიმღერებმა (ანსამბლის ხელმძღვანელი მარინა რიზინაშვილი-ხოთოველი).  
დასასრულს გიგა ხოტოველმა მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებმაც დიდი თანადგომა გაუ-



## „მენორას“ ჩატარებულის შეკითხვები კასებობის ისრაელის საგანგაო და სეულუფლების ელჩი პ-ნი იუვალ ფუქსი

მიუხედავად, გვაქვს გამოწვევები როგორც ეკონომიკაში, ასევე სოციალურ დარგებში და მათთან გამკლავებას ვცდილობთ.

— როგორ ფიქრობთ: ოპერაცია „ღრუბლის სვეტის“ დღეებში ვინ გაიმარჯვა — „ჰამასმა“ თუ „ცაპალმა“? ხომ არ მოხდა ის, რომ დადებული ხელშეკრულებით, ისრაელმა სცნო, „ჰამასი“ როგორც მხარე?

— საქმე არ ეხება იმას, ვინ „გაიმარჯვა“ ან ვინ „დამარცხდა“. ოპერაციის მიზანი სამხრეთ ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის უზრუნველყოფა და ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ სამხედრო შესაძლებლობის შემცირება იყო. „ჰამასი“ არც ისრაელის არსებობის უფლებას სცნობს და არც რაიმე ხელშეკრულებებს.

— საქართველოს ებრაელობის 80% მაინც დღეს ისრაელში ცხოვ-რობს. ჩვენ იქ გვყავს შესანიშნავი მეცნიერები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები. მომავალ არჩევნებში რამდენიმე ქართველი ებრაელი იყრის კენჭს, ამათგან ორს უკვე უჭირავს რეალური ადგილი თავთავიანთ პარტიებში (ციფი ხოტოველი, „ლიკუდი“, მე-12 ადგილი), ნინო აბესაძე („ავოდა“, მეოცე ადგილი). როგორ დაახასიათებდით ისრაელის ქართველ ებრაელობას?

— ისრაელში საქართველოდან ჩამოსული თემი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და პოლიტიკაში, კულტურაში, ბიზნესში, მედიცინაში, არმიასა თუ სხვა სფეროებში აქტიურ როლს ასრულებს. ისინი პატივს სცემენ ქართულ მემკვიდრეობას, კულტურას, სამზარეულოს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხალხებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

— უკვე მეუთე თვე, საქართველოში ხართ. ვიდრე ჩამოხვიდოდით, რა იცოდით საქართველოს თაობაზე და როგორია რეალური სურათი?

— საქართველოში ადრეც ჩამოსულვარ, წამიკითხავს წიგნები და ხალხ-თანაც ბევრი მისაუბრია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ორმხრივი ურთიერთობის პროცესშიც ვიყავი ჩართული. ამის მიუხედავად, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მეტი გამოცდილება და ცოდნა მივიღე და, რაც მთავარია, ძალიან საინტერესო ადამიანები გავიკანი. ჩვენთვის ყოველი დღე სასიამოვნოა და წინ კიდევ ბევრი საინტერესო აღმოჩენა გველის. ძალიან ლამაზი ქვეყანა და ხალხი გყავთ.

— კარგად მოგეხსენებათ, ებრაელობა უხსოვარი დროიდან ცხოვრობს საქართველოში, მეცნიერება ადასტურებს, რომ ებრაელებმა საქართველოში მოიტანეს ერთი ლმერთის რწმენა — მონოთეიზმი (ამას წინათ დავამთავრე რომანი, რომელიც სწორედ ამ თემას ეხება „ერთი, მხოლოდ ერთი!“) ისრაელი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა, მაგრამ შეიძლება ითქვას, არ იცნობს ქართულ კულტურას — ლიტერატურას, სახვით ხელოვნებას, მუსიკას და სხვ. რა პერსპექტივები გვაქვს?

— ახალი წიგნი აუცილებლად უნდა თარგმნოთ ივრითზე. მე წავიკითხე თქვენი წიგნი „მეათე კაცი“ ივრითზე. მაღლიბა, რომ ეს ნანარმოები გვიჩუქეთ. მართალი ბრძანდებით, ძალიან ცოტა თანამედროვე ნანარმოებია ივრითიდან ქართულად და ქართულიდან ივრითზე ნათარგმნი. აქ კულტურის ყველა დარგში ვმუშაობთ — მუსიკის, თეატრის, ცეკვის, ჯაზის, კინემატოგრაფიისა და ლიტერატურის, რათა ქართულ პუბლიკას ისრაელის თანამედროვე კულტურა უკეთ გავაცნოთ. კულტურა ადამიანების უკეთ გაცნობისა და ერების დაახლოვების საუკეთესო გზაა. დღესდღეობით 2013 წლის პროგრამაზე ვმუშაობთ. ვფიქრობ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

— ადამიანში ყველაზე მეტად რა თვისებებს აფასებთ და ამ მიმართებით თუ გაქვთ რაიმე განსაკუთრებული ნიშანი ებრაელობისათვის?

— ყველაზე მეტად სიკეთეს ვაფასებ. ვფიქრობ, სიკეთე თითოეულ ჩვენგანშია.

### ორი ძართულებოვანი ეპრაული გაზეთის — „მენორას“ და „დავითის ფარის“ ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორქში ქართველ ებრაელთა თემის გაზეთი „დავითის ფარი“ დარსდა 2003 წელს. იქამდე კი, ჩვენი სინაგოგის თავკაცებისა და მრევლის თხოვნით, თბილისიდან (ცოტა დაგვიანებით) ფოსტით ვლებულობდით გაზეთ „მენორას“ ყოველი ახალი ნომრის 5-10 ეგზემპლარს, რომლებსაც ინტერესით ეცნობოდა ქვინსში მცხოვრები ქართულობრივი მკითხველი. ეს პრაქტიკა გრძელდებოდა ჩვენი გაზეთის „დავითის ფარის“ გამოსვლის შემდეგაც (თითქმის ორ წელზე მეტ ხანს). ვიცოდით, რომ იგი დაკავშირებული იყო გარკვეულ საფოსტო ხარჯებთან და მუდამ გამოვთქვამდით მადლიერებას „მენორას“ რედაქტორის — ბ-ნ გურამ ბათიაშვილის მიმართ, როგორც ჩვენი თემის, ისე ახალფეხადგულ „დავითის ფარისადმი“ ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის. ჩვენი გაზეთი ყოველთვის საჭიროებს და აქვეყნებს კიდეც „მენორადან“ აღებულ მასალებს, რა თქმა უნდა, თავნყაროს მითითებით. შემდეგ კი, მოგეხსენებათ, გაჩნდა „მენორას“ ელექტრონული ვერსია დაინტერესული მკითხველი ფართოდ სარგებლობს ამ სიახლით. პირადად მე კი, მუდამ ბევრად ადრე, ოპერატიულად ვლებულობინტერნეტით ჩვენი გაზეთისათვის „მენორას“ თითოეულ ნომერს და ამ კოლეგიალური მხარში დგომისთვის მადლობას მოვახსენებ პატივისცემით ბ-ნ გურამ ბათიაშვილს.

გაზეთ „დავითის ფარის“ გამომცემელი და რედაქტორი  
სიმრ პრიზელი









„საჩუქარი“ ისრაელის დაბადების დღისთვის

29 ნოემბერს, გაეროში ისრაელის სახელმწიფოს ცნობის შესახებ მიღებული რეზოლუციის 65-ე წლისთავზე, გაეროს გენერალურ ანსამბლეაზე დადგება საკითხი პალესტინის სტატუსის სახელმწიფო-დამკაირვებლამდე გაზრდის შესახებ. როგორც NEWSru.co.il იტყობინება, ექსპერტების აზრით, ამ გადაწყვეტილებას 193-დან 130-150 სახელმწიფო დაუჭერს მხარს.

პალესტინური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაჰმედ აბასი (აბუ მაზენი) 28 ნოემბერს ნიუ-იორკში ჩაფრინდა. ერთ-ერთმა სააგენტომ გაავრცელა კადრები, დაცვის თანხლებით როგორ შედის აბასი ნიუ-იორკის გაეროს შტაბ-ბინაში.

სააგენტო რანცე-რესეს იტყობინება, რომ მაჰმუდ აბასი 28 ნოემბერს შეხვდა აშშ-ს სპეციალურ წარმომადგენელს ახლო აღმოსავლთის საკითხებში დევიდ ჰეილს და სახელმწიფო მდივნის მოადგილეს უილიამ ბერნს. შეხვედრის დასრულების შემდეგ ვაშინგტონმა განაცხადა, რომ აშშ პალესტინის წინააღმდეგ მისცემს ხმას, ამ საკითხში მას უერთდება გერმანია, ჰოლანდია, კანადა, გვატემალა და მიკრონეზია.

# ჰილარი კლინტონია პალესტინელებს დაფიქრება ურჩია

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა პალესტინის ხელისუფლებას მოუწოდა უარი თქვას გაეროს გენერალურ ანსამბლეისადმი თხოვნაზე გაუზარდონ წარმომადგენლობითი სტატუსი ამ ორგანიზაციაში. „ორი სახელმწიფოს შექმნის გზა გადის იერუსალიმსა და რამალაზე და არა ნიუ-იორკზე“ — აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენლობა, ნერს „კურსორი“.

„კონფლიქტის მოვარების ერთადერთი გზა — პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებაა“, — აღნიშნა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა. ჰილარი კლინტონმა ასევე კიდევ ერთხელ გააფრთხოილა ისრაელელები და პალესტინელები არ გადადგან ისეთი ნაბიჯი, რომელიც კონსტრუქციულ დიალოგს ხელს შეუშლის.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირადად სთხოვა აბუ-მაზენს ხმის მისაცემად გატანილი რეზოლუცია უკან გაეხმო, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა ვიქტორია ნულანდმა დაადასტუა, რომ აშშ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

გენერალური ანსამბლების დაფგვილება

1. კვლავ ამტკიცებს უფლებას პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის და სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შესახებ 1967 წლის საზღვრებში.
  2. იდებს გადაწყვეტილებას მიანიჭოს პალესტინას სახელმწიფო-დამკაირვებლის სტატუსი, ამასთანავე არ შეიცვლება გაეროში პალესტინის გამათა-ვისუფლებელი ორგანიზაციის, როგორც პალესტინელი ხალხის წარმომადგენლის, პრივილეგია და სტატუსი, რეზოლუციისა და საერთაშორისო წესების მიხედვით.
  3. გამოთქვამს იმედს, რომ უშიშროების საბჭო დადებითად განიხილავს 23.09.11 რიცხვში პელესტინის სახელმწიფოს თხოვნას, გაეროში სრულუფლე-ბიანი წევრობის შესახებ.
  4. მხარს უჭერს რა პალესტინელების დაბადებიდან მინიჭებულ უფლებებს და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას, რომელიც დაასრულებს 1967 წლის ოკუპაციას, განახორციელებს ორი სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, დამოუკიდებელი, სუვერენული, ტერიტორიულად დაურღვეველი, დემოკრა-ტიული და სტაბილური პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომელიც იცხოვრებს ისრაელის გვერდით მშვიდობასა და უსაფრთხოებაში, 1967 წლის საზღვრებში.
  5. ხაზს უსვამს რაც შეიძლება მალე მოლაპარაკებების განახლებას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიზნით, რაც დამყარებული უნდა იყოს გაეროს რეზოლუციაზე, მადრიდის კონფერენციის პრინციპებზე, პრინციპზე „ტერიტორია სანაცვლოდ და მშვიდობა“, არაბულ სამშვიდობო ინიცია-ტივაზე და კვარტეტის საგზაო რუქაზე, უნდა მიიღწეს სამართლიანი, ურყევი მშვიდობა პალესტინასა და ისრაელს შორის, რომელიც გადაჭრის პრობლემის ყველა საკვანძო საკითხს, მათ შორის პალესტინელი ლტოლვილების, იერუსალიმის, დასახლებების, საზღვრების. წყლის რესურსებისა და უშიშროების შეს-ახებ.
  6. მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს და ასევე გაეროს სპეციალურ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ პალესტინელ ხალხს საკუთარი უფლებების რეალ-იზაციაში, თვითგამორკვევაში, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაში.
  7. უშიშროების საბჭოს მოუწოდებს მიიღოს ყველა საჭირო ზომა ამ რეზოლუციის განსახორციელებლად და ანგარიში ჩააბაროს ამ საკითხის მიმდინ-არეობის შესახებ სამი თვის განმავლობაში.

საქართველო და პალესტინის სტატუსი - არასცორი ნაბიჯი  
თუ „შექაში აფეხილი ქარიშხალი“?

ქართულ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციების პოლიტიკურ სკანდალად გადაქცევა, უკანასკნელი წინასაარჩევნო პერიოდის საქართველოს ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად იქცა. პოლიტიკურმა ძალებმა, როგორც ჩანს, მშვენივრად აუღეს ალღო თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ამ ტენდენციას და ტრადიციადაც დანერგეს, რომელიც არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. გუშინ, ერთ-ერთ კერძო ქართულ ბლოგზე გამოქვეყნებული მასალა, მყვირალა სათაურით: „მოშე: ისრაელის საელჩომ საქართველოში მისია ამონურა“, ქართულ ინტერნეტ-სივრცეში სრული ისტორიის საფუძვლი გახდა.

ძნელი სათქმელია, რატომ ვერ შეიძინა ქართულმა პუბლიკამ სათაურსა და ტექსტის შინაარსს შორის სრული შესაბამობა, მაგრამ ფაქტია, რომ სათაურის ეფექტმა მკითხველზე იმუშავა. პუბლიკამ ჩათვალა, რომ ინტერნეტ-მედიამ ისრაელის საელჩოს ოფიციალური პოზიცია გაახმოვანა და ისრაელის დიპლომატიური უწყება საქართველოში თავის ფუნქციონირებას წყვეტს. რეალურად კი, კერძო ბლოგზე მოყვანილ მასალაში, რომელსაც ნარმომავლობა და პირველწყარო არ ანერია, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კომენტარს ქართულ-ებრაული ბიზნეს პალატის პრეზიდენტი, იციკ მოშეაკეთებს და საკუთარ, პირად პოზიციას ახმოვანებს. კერძოდ, მოშეს განცხადებაში ნათქვამია: „მე რომ ვყოფილიყავი ისრაელის ელჩი საქართველოში, დაუყოვნებლივ დავტოვებდი თანამდებობას, ვინაიდან ჩავთვლიდი, რომ საქართველოში ჩემი მისია ამონურულია. იმის ნაცვლად რომ ორ ქვეყანას შორის კეთილგანწყობა შენარჩუნიბულიყო, გვილაფრი იმაზე გირითიერებს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა გაუზიარდა“.

ამ კომენტარს კი ერთვის ბლოგერის კერძო მოსაზრება: „მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ საქართველოს მთავრობას არც აფხაზეთის და სამაჩაბლოს „ახალი სტატუსის“ აღიარება გაუჭირდება. ისრაელის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ასე „დიპლომატიურად“ აპირებს სახალხო დიპლომატიის მშენებლობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობა“.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს აქვთ უფლება საკუთარი აზრი დააფიქსიროს ამა თუ იმ საკითხზე, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე ასეთ პრინციპულ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე თემას ეხება, აღბათ, აუცილებლია საზოგადოებისათვის ვრცელი განმარტება ოფიციალურმა პირებმა და კომპეტენტურმა ექსპერტებმა გააკეთონ, ხოლო ჩვენ შევეცდებით საზოგადოებას ამ თემასთან დაკავშირებით, კონკრეტული ფაქტები მივაწოდოთ და ვარაუდები, გარკვეულწილად, სისტემაში მოვიყვანოთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაწყვეტილება პალესტინისთვის ავტონომიის გაფართოების და სახელმწიფო-დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე მიიღო. გაერო-ს მიერ პალესტინისთვის ახალი სტატუსის მინიჭებას 138 სახელმწიფომ დაუჭირა მხარი, მათ შორის საქართველომ, 41 სახელმწიფომ თავი შეიკავა, ხოლო 9-მ ჩინაალმდევ მისცა ხმა. ეს ქვეყნებია: აშშ, ისრაელი, კანადა, ჩიხეთი, პანამა, მარშალის კუნძულები, მიკრონეზია, ნაურუ და პალაუ.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური პოზიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი სესიაშვილმა გააუღერა. მისი თქმით, საქართველომ პალესტინის

## დეკემბერი (ქისლევი) №16-17, 2012 წ.

რას ვპიოთხულობთ  
ამ პვირაში?  
რუბრიკას უძღვება საქართველოს  
მთავარი რაბინი  
აბიშაი ბათაშვილი



გასული კვირის ფარაშაში მოთხოვდილი  
იყო სიზმრებზე (იოსეფისა და ფარაონის  
მეღვინეოუნცესისა და ნაბათუუნცესის  
სიზმრებზე), ამ კვირის ფარაშაში კი  
თორა ისევ მოგვითხოვბს სიზმრებზე:  
ეგვიპტის მეფის, ფარაონის სიზმრებზე. ამ  
ყველა სიზმარს საერთო ისა აქვთ, რომ  
ყველა ისინი იმ პროცესის ეტაპებია,  
რომლებმაც იაყობისა და მისი ვაჟების  
ეგვიპტის ქვეყანაში ჩასვლა და მის  
შედეგად ისრაელის შვილების ეგვიპტ-  
ეში დევნილობა ვამოიწვია.

თორაში ყოგელი ზუსტი და მნიშვნელოვანია. თუ თორა ასე უსგამს ხაზს სიჩმრებს, როგორც დევნილობაში გასვლის ეტაპებს, შესაძლოა, რომ დევნილობისა და სიჩმრის საკითხს შორის მიზეზობრივი კატეგორია არსებობს. უფრო მეტიც: დევნილობასა და სიჩმარს შორის დამოკიდებულება დევნილობის არსებაც გამოხატავს და ამასთანავე, მის სიძნელეებთან გამკლავების გზასაც.

განმარტებულია, რომ სიზმრის ერთ-ერთი მქევთოი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მას შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს საპირისპირო და კონტრასტული მოვლენები, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება სინამდვილეში არ აფრით არ შეიძლება. ამისი მაგალითია სიზმარში აღდამიანს შეუძლია დაინახოს სპილო, რომელიც ნემსის ყუნწმი ძვრება მაგრამ აღდამიანი ამაში არაგითარ უჩვეულოს ან უცნაურს ვერ ხედავს.

ეს არის დევნილობის არსი: არა  
სწორი და არანორმალური სიტუა-  
ცია ჩვეულებრივ ბუნებრივგად და ნორ-  
მალურად გამოიყერება, როდესაც  
დევნილობაში მყოფი საერთოდ ვერ-  
გრძნობენ ამ შეუსაბამობას.

ამ თვისებას ჩვენ სულიერ  
თვაწიოდბაშიც აღთვაძო: მაალითა

მდგომარეობაში იმყოფებოდა და  
თემუბაზე შემობრუნების სურვილს  
გრძნობდა, მაგრამ დაუბრუნდა თუ არა  
ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს, ღმ-  
თისადმი ერთგულება მისი ცხოველური  
გნებებისაკენ სწრაფიად შესკვერა.

ასე გცნოვრობთ თითქოსდა  
წინააღმდევგობებით საფსე „სიზმრებით“. ესაა ხულიერი დევნილობა, რომელშიც ვიმყოფებით. მაგრამ გასაგებია, რომ ამ შეუსაბამობამ დასკვნამდე არ უნდა მიგვიყვანოს ჩვენ, წინააღმდევ შემთხვევაში არაგითარი აზრი არა აქვს ლოცვასა და მიცვების შესრულებას. ყოველ მიცვას თავისი შედეგი აქვს და ლოცვის დროს დმტისადმი ერთგულებაც თავის პვალს ტოვებს, მოუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ არცოთ ისე იგრძნობა მისი გავლენა, როდესაც ყოველდღიურ საქმეებს ვუბრუნდებით.

მაგრამ ისეთ პერიოდს, როგორ-იცად „ვიყავით, როგორც მეოცნებები“, თაგვისებული უპირატესობაც აქვს. ნორ-მალურ დოოს არის წესრიგი და არის ეტაპობრივი პროცესი, რომლის დოოსაც ადამიანი წინ უნდა მიაბიჯებდეს, ამის პარალელურად, დევნილობის პერიოდი მეთოდი კი ეს არის: თუ უკვე მიაღწიე ისეთ სათანადო დონეს, რომ გარკვეული რამ გააკეთო, ანგარიშების გაკეთებას ნულარ დაიწყებ.

ნებისმიერი რამ, რისი გაყეოფაც  
ებრაელს შეუძლია, ნებისმიერი მიცვა და  
ნებისმიერი წესიერი საქციელი, რომლი-  
ს ათვისების უნარიც შეხწევს, — უნდა  
„მოიტაცოს“ და შეასრულოს. „სიზმო-  
ის“ დროს ყველაზე მაღალ საფეხურზე  
„ახტომაც“ შეიძლება და „სიფხიზლის“  
პერიოდში მოუღწეველი რამის მიღწევაც.  
ზუსტად ესაა დევნილობის შინაგანი მი-  
ზანი.

ახალ სტატუსზე რეზოლუციას მხარი სახელმწიფო ბრივი ინტერესიდან გამომდინარე დაუჭირა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდის ინფორმაციით, საქართველომ პალესტინის დამოუკიდებლობა 1992 წლის 25 აპრილს აღი-არა. ასე რომ, მცირე ხნის წინ საქართველოს პრემიერის მიერ ისრაელის ელჩოთან შეხვედრისას პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოხსენიებას ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს პოზიცია, პალესტინის ავტონომიასთან მიმართებაში, ყოველთვის თანამიმდევრული იყო. ივანიშვილის განცხადების კრიტიკოსებს, ინფორმაცია არ ჰქონიათ იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ პალესტინას საქართველოს საგარეო საქმეთა სა-მინისტრო, მთელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე მოიხსენიებდა. მაგალითად, „ჯი-ეიჩ-ენის“ 2011 წლის 14 ივლისის ახალ ამბებში, სათაურით, „გრიგოლ ვაშაძე დიპლომატებთან შეხვედრაზე პალესტინის რეზოლუციის საკითხით დაინტერესდა“, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე ასეთ განცხადებას აკეთებს: „არცერთ სახელმწიფოს არ დაუფიქსირებია რაიმე პოზიცია გარდა პრინციპებისა, რომელზეც ყველა ვთანხმდებით, რომ არის ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ისრაელი და პალესტინა. ისრაელს უსაფრთხოების გარანტიები უნდა ჰქონდეს დაცული, ხოლო პალესტინას დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და საზღვრები“.

საქართველომ ამ ეტაპზე მხარი არა პალესტინის აღიარებას, რომელიც ისედაც აღიარებული გვაქვს, არამედ, პალესტინის სტატუსის ამაღლებას მის-  
ცა გაეროშ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პალესტინას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, ასე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო მაღალ დონეზე, მათ შორის, პარტნიორ სახელმწიფოებთანაც.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ, მათ შორის, აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობამ, ევროპულმა სახელმწიფოებმა, ანალო-გიური გადაწყვეტილება მიიღო. დიპლომატიაში არსებობს ასეთი ტენდენცია, როცა ძლიერი სახელმწიფო, გარკვეულ ფაქტორთა გათვალისწინებით, მაშინ როცა საკუთარი ოფიციალურად გაცხადებული პოლიტიკის დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ ვერ წავა, თავად არ აფიქსირებს პოზიციას, ხოლო მისი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები, მასთან შეთანხმებით, გარკვეულ დიპლომატიურ სვლებს ახორციელებენ, თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია.

ინტერნეტ პოლიტიკური და საერთაშორისო დიპლომატიური თამაშები მეორე. რეალურად, საქართველოს მოგება ამ სიტუა-ციაში შესაძლოა ისიც იყო, რომ მაშინ, როცა რუსეთი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს ქვეყნებს, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული რეგიონისა და მოუკიდებლობას აღიარებენ, საქართველო მუდმივად დენოის კასრზე ზის. ამ ხმის მიცემით კა, ჩვენმა სახელმწიფომ მოიგო იმ ქვეყნების გული, რომელთ-აგანაც შეგავსი საშიშროება მომდინარეობს. ცნობილია, რომ თავის დროზე გრიგოლ ვაშაძის უწყებამ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან ურთიერთობის გაუმჯობესებით, სირიის მხრიდან აფხაზეთ-ცხინვალის აღიარება შეაჩერა.

ასე რომ, ერთი მხრივ, პანიკა, თითქოს საქართველომ ისრაელი გააბრაზა და მეორეს მხრივ, ის რომ ლომაიამ და სააკაშვილმა ივანიშვილს დივერსია მოუ-წყვეს, სრული აბსურდია, ხოლო აგორებული ისტერია - ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მეორე პოლიტიკური ძალის სანინაალმდეგოდ მიმართული „შავი პიარი“, რომელიც ადეკვატურობისგან შორს დგას. რეალურად, ეს ყველაფერი ქართული დიპლომატიის წლების მანძილზე წარმოებული პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა, რომლის შედეგებიც საქართველოსთვის, დროთა განმავლობაში წარმოჩინდება.

## ლაიც სასიუზილის სახ-ეთულის გასცე

დანიელ ხახიაშვილი ჯერ კიდევ რვა თვის ყოფილა, როდესაც ონის კარგად ცნობილ სინაგოგაში შეუყვინიათ, თუმცა სალოცავად არა... ოცდაათამდე მეძუძური ქალი ამგვარი ქმედებით წინააღმდეგობას უწევდა სინაგოგის დანგრევას... სწორედ იმ ოცდაათ ქალში ყოფილა დანიელის დედა, რვა თვის დანიელთან ერთად...

საქართველოზე, რაჭაზე, ოზე შეყვარებული ქართველი ებრაელი პოეტი წინააღმდეგი ყოფილა თანამემამულებისა, რომლებსაც ატაცებული ჰქონდათ ფსალმუნისეული „თუ დაგივინყო, იერუშალამი, დავინყებულ იქნას მარჯვენა ჩემი“, რაც თავის მხრივ, საქართველოდან ებრაელთა მიგრაციას ნიშნავდა... ამ წინააღმდეგობის გამო ისრაელის მოსახულებლად ჩასულს ერთ-ერთმა ებრაელმა აეროპორტშიც მიაძახა თურმე: „აქ ჩამოსვლა როგორ გაძედეთ?“

პოეტი დღეს ისრაელის ქალაქ ბერშევაში ცხოვრობს, საკუთარი ოჯახი არ ჰყავს და უკვე ღრმად მოხუცებული საქართველოშიც იშვიათად ჩამოდის, თუმცა, ნოემბრის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები ებრაელების და ონისთვის სასიხარულო მოვლენის გამო სტუმრობდა რაჭას. ბატონმა ირაკლი შაგრაქველიძემ, დანიელ ხახიაშვილის სურვილი აასრულა და ონში პოეტის სახლ-მუზეუმის გახსნა დააფინანსა. გთავაზობთ ინტერვიუს ბ-ნ ირაკლისთან.

— ბ-ნ ირაკლი, როგორც ვიცით, თქვენ ხელმძღვანელობდით სახლ-მუზეუმის გახსნას. როგორ გაწინდა ეს იდეა?

— პოეტი დანიელ ხახიაშვილი და მამაჩემი ქრისტეფორე მაგრაქველიძე დიდი ხანია მეგობრობენ. დანიელმა ბევრი ლექსი მიუძღვნა ჩვენს ოჯახს, ჩვენს რაიონს, კუთხეს. ის შეყვარებულია საქართველოზე, რაჭაზე და მისი პოეზიაც ამ სიყვარულითათა გაუდენილი. თავად დანიელს ჰქონდა სურვილი, რომ გახსნილიყო სახლ-მუზეუმი და მისწერა მამაჩემს წერილი, რომ დახმარებოდა ამ საკითხის გადაწყვეტაში. მამამაც აიტაცა ეს იდეა და ასე მივედით 4 ნოემბრამდე, სახლ-მუზეუმის გახსნის დღემდე.

— ეს ის სახლია, რომელშიც ბატონი დანიელი გაიზარდა. როგორ მდგომარეობაში დაგხვდათ სახლი?

— სახლი იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ჩამოდიოდა წყალი, გაფუჭებული იყო კედლები, მესერი და ანგრეული და მოშლილი. შენარჩუნდა ძველი სახე, შეიცვალა სახურავი, გამაგრდა საყრდენი კედლები.

— რა დრო დასჭირდა სახლ-მუზეუმის შეკეთებას?



ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი და და დანიელ ხახიაშვილი

ულმა ცხარე ცრემლებით იტირა. სახლ-მუზეუმის გახსნამ ემოციურად იმოქმედა მასზე.

— ინს სტუმრობდა ისრაელის ელჩი საქართველოში, ბატონი იუვალ ფუქსი?

— კი, ბ-ნი იუვალ ფუქსი მოპატიუებული იყო გახსნაზე, ასევე რაჭა-ლეჩჩემის გუბერნატორი, ინის გამგებელი. ისრაელიდან ჩამოსული იყვნენ სტუმრები, შეიკრიბნენ ინის მკვიდრი ებრაელები, ადგილობრივი საზოგადოებაც შემოგვიერთდა. ვისაუბრეთ, ალვიშნეთ, ბევრი მონატრებული ადამიანი შეხვდა ერთად მოინახულებს იქვე მდგომ სახლ-მუზეუმსაც.

— როგორც ვიცით, ბ-ნ დანიელი ამჟამად ისრაელის ქალაქ ბერშევაში ცხოვრობს. როგორი იყო მისი ემოცია?

— კი, დანიელი ისრაელში ცხოვრობს მმასთან და ძმისშვილებთან ერთად. საქართველოს, ონს და აქაურობას მონატრებულმა ცხარე ცრემლებით იყვნენ გადადები და ნებისმიერი ადამიანი, იქნება ეს ტურისტი თუ სტუმრად ჩამოსული პიროვნება ონში, სინაგოგასთან ერთად მოინახულებს იქვე მდგომ სახლ-მუზეუმსაც.

— კი, დანიელი ისრაელში ცხოვრობს მმასთან და ძმისშვილებთან ერთად. საქართველოს, ონს და აქაურობას მონატრებულმა ცხარე ცრემლებით იყვნენ გადადები და ნებისმიერი ადამიანი, იქნება ეს ტურისტი თუ სტუმრად ჩამოსული პიროვნება ონში, სინაგოგასთან ერთად მოინახულებს იქვე მდგომ სახლ-მუზეუმსაც.

— კი, დანიელი იუვალ ფუქსი კარგი დანიელი არა არასამუშაო დღეები იყო. ნიუ იორკი დედობურად რჩება ამერიკის მთავარ ებრაულ ქალაქად. თუმცალა, პიკა გადაიარა — 1950 წელს ამ ქალაქში ცხოვრობდა 2,1 მილიონი ებრაელი, რომელიც მეგაბოლისის მოსახლეობის მეოთხედი გახლდათ. მრეწველობაში და ვაჭრობაში არასამუშაო დღეები იყო — რომ პაშანა და იმ ქიფური — 1960 წლიდან იმ ქიფურში საჯარო სკოლებიც კი დაკეტილია. ამ ქალაქში არის თოთქმის ყველა ებრაული ორგანიზაციის შტაბ-ბინა. ნიუ იორკის მილიარდერების 70% ებრაელია. რაც შეეხება სილარიბის ზრდას, სიმპტომატურია, რომ კეთილდღეობის დონე აშშ-ს ებრაულ თემში უფრო ჩერა ეცემა, ვიდრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. ებრაელთა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საშუალო კლასს, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა რეცესიით. ებრაული ორგანიზაცია Council შარშა 100000 გაზირვებულ ებრაულ დახმარა. სხვა საქველმეფი ებრაული ორგანიზაციები 200000 ებრაელს, მაგრამ მოთხოვნილებამ მხოლოდ 25-30%-ით კმაყოფილება.

— კი, დანიელი იუვალ ფუქსი კარგი დანიელი არა არასამუშაო დღეები იყო. ნიუ იორკი დედობურად რჩება ამერიკის მთავარ ებრაულ ქალაქად. თუმცალა, პიკა გადაიარა — 1950 წელს ამ ქალაქში ცხოვრობდა 2,1 მილიონი ებრაელი, რომელიც მეგაბოლისის მოსახლეობის მეოთხედი გახლდათ. მრეწველობაში და ვაჭრობაში არასამუშაო დღეები იყო — რომ პაშანა და იმ ქიფური — 1960 წლიდან იმ ქიფურში საჯარო სკოლებიც კი დაკეტილია. ამ ქალაქში არის თოთქმის ყველა ებრაული ორგანიზაციის შტაბ-ბინა. ნიუ იორკის მილიარდერების 70% ებრაელია. რაც შეეხება სილარიბის ზრდას, სიმპტომატურია, რომ კეთილდღეობის დონე აშშ-ს ებრაულ თემში უფრო ჩერა ეცემა, ვიდრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. ებრაელთა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საშუალო კლასს, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა რეცესიით. ებრაული ორგანიზაცია Council შარშა 100000 გაზირვებულ ებრაულ დახმარა. სხვა საქველმეფი ებრაული ორგანიზაციები 200000 ებრაელს, მაგრამ მოთხოვნილებამ მხოლოდ 25-30%-ით კმაყოფილება.

— კი, დანიელი იუვალ ფუქსი კარგი დანიელი არა არასამუშაო დღეები იყო. ნიუ იორკი დედობურად რჩება ამერიკის მთავარ ებრაულ ქალაქად. თუმცალა, პიკა გადაიარა — 1950 წელს ამ ქალაქში ცხოვრობდა 2,1 მილიონი ებრაელი, რომელიც მეგაბოლისის მოსახლეობის მეოთხედი გახლდათ. მრეწველობაში და ვაჭრობაში არასამუშაო დღეები იყო — რომ პაშანა და იმ ქიფური — 1960 წლიდან იმ ქიფურში საჯარო სკოლებიც კი დაკეტილია. ამ ქალაქში არის თოთქმის ყველა ებრაული ორგანიზაციის შტაბ-ბინა. ნიუ იორკის მილიარდერების 70% ებრაელია. რაც შეეხება სილარიბის ზრდას, სიმპტომატურია, რომ კეთილდღეობის დონე აშშ-ს ებრაულ თემში უფრო ჩერა ეცემა, ვიდრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. ებრაელთა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საშუალო კლასს, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა რეცესიით. ებრაული ორგანიზაცია Council შარშა 100000 გაზირვებულ ებრაულ დახმარა. სხვა საქველმეფი ებრაული ორგანიზაციები 200000 ებრაელს, მაგრამ მოთხოვნილებამ მხოლოდ 25-30%-ით კმაყოფილება.

— კი, დანიელი იუვალ ფუქსი კარგი დანიელი არა არასამუშაო დღეები იყო. ნიუ იორკი დედობურად რჩება ამერიკის მთავარ ებრაულ ქალაქად. თუმცალა, პიკა გადაიარა — 1950 წელს ამ ქალაქში ცხოვრობდა 2,1 მილიონი ებრაელი, რომელიც მეგაბოლისის მოსახლეობის მეოთხედი გახლდათ. მრეწველობაში და ვაჭრობაში არასამუშაო დღეები იყო — რომ პაშანა და იმ ქიფური — 1960 წლიდან იმ ქიფურში საჯარო სკოლებიც კი დაკეტილია. ამ ქალაქში არის თოთქმის ყველა ებრაული ორგანიზაციის შტაბ-ბინა. ნიუ იორკის მილიარდერების 70% ებრაელია. რაც შეეხება სილარიბის ზრდას, სიმპტომატურია, რომ კეთილდღეობის დონე აშშ-ს ებრაულ თემში უფრო ჩერა ეცემა, ვიდრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. ებრაელთა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საშუალო კლასს, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა რეცესიით. ებრაული ორგანიზაცია Council შარშა 100000 გაზირვებულ ებრაულ დახმარა. სხვა საქველმეფი ებრაული ორგანიზაციები 200000 ებრაელს, მაგრამ მოთხოვნილებამ მხოლოდ 25-30%-ით კმაყოფილება.

— კი, დანიელი იუვალ ფუქსი კარგი დანიელი არა არასამუშაო დღეები იყო. ნიუ იორკი დედობურად რჩება ამერიკის მთავარ ებრაულ ქალაქად. თუმცალა, პიკა გადაიარა — 1950 წელს ამ ქალაქში ცხოვრობდა 2,1 მილიონი ებრაელი, რომელიც მეგაბოლისის მოსახლეობის მეოთხედი გახლდათ. მრეწვე